რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

TDI

2025 წლის ნოემბერი-დეკემბერი

რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2025 წლის ნოემბერი-დეკემბერი

მომზადებულია
ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ (TDI)
www.tdi.ge

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აგრძელებს დაკვირვებას რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოზე. მონიტორინგი მოიცავს საჯარო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების, საჯარო პირების, სასულიერო პირებისა და რელიგიური ინსტიტუტების განცხადებებსა და აქტივობებს.

წინამდებარე მიმოხილვა ასახავს 2025 წლის **ნოემბრისა და დეკემბრის პერიოდს.**

ასევე შეგიძლიათ, იხილოთ რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით მონიტორინგის

2024 წლის ანგარიშები:

წინაასარჩევნო პერიოდი
25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე
25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე

არჩევნების შემდგომი პერიოდი
26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე
26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე

2025 წლის ანგარიშები:
26 დეკემბერი, 2024 - 2025 წლის 31 იანვარი
თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი

ფოტო გარეკანზე: გიორგი მოსეშვილი (MOSE)

სარჩევი

ტენდენციები 4

1. ევროკავშირის წინააღმდეგ პროპაგანდა და ფსევდორელიგიური ნარატივებით მანიპულაცია 5

“ევროკავშირი რელიგიური და ეროვნული იდენტობის წინააღმდეგ” 5

ევროკომისიის გაფართოების ანგარიშის შესახებ 6

ჰომოფობიის ინსტრუმენტალიზება 7

თავდასხმა გერმანიის ელჩ პეტერ ფიშერზე 7

2. „დიფ სთეითი“ და გლობალური შეთქმულების ნარატივი 8

3. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დევნა 10

4. მართლმადიდებელი სასულიერო პირის წინააღმდეგ პროპაგანდისტული კამპანია 11

5. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ანტიდასავლური პროპაგანდა 12

არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილზე თავდასხმა 13

რელიგიური რასიზმი და ქსენოფობია 14

6. სასულიერო პირების განცხადებები პოლიტიკურ რეპრესიებსა და შეუწყნარებლობაზე 14

ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე, სამართლიანობისა და აქტიური მოქალაქეობისკენ მოწოდება 15

ანტიევროპული კურსის მხილება და კრიტიკა 16

განცხადებები სასამართლო სისტემაზე და აღმსრულებელ მოსამართლეებსა და სამართალდამცავ უწყებებზე 16

განცხადებები საქართველოს მოქალაქეებისთვის საზღვარგარეთ ხმის მიცემის აკრძალვაზე 17

განცხადებები BBC-ის ჟურნალისტურ გამოძიებაზე 18

სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირების განცხადებები 19

ტენდენციები

საანგარიშო პერიოდში “ქართული ოცნება” კვლავინდებურად მანიპულირებდა იდენტობის დაკარგვის საფრთხითა და ფსევდორელიგიური ნარატივებით. ასევე აგრძელებდა აგრესიულ ანტიდასავლურ პროპაგანდას ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების დიპლომატების წინააღმდეგ.

“ქართული ოცნების” გზავნილების მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნები კარგავენ რელიგიურ და ეთნიკურ იდენტობებს; საქართველოს მოქალაქეები კი დგანან ევროკავშირის “მორჩილებასა” და ტრადიციების შენარჩუნებას შორის არჩევანის წინაშე.

კვლავინდებურად აქტუალური იყო “დიფ სთეითისა” და საქართველოს წინააღმდეგ ბრიუსელის შეთქმულების ნარატივი. უნდა აღინიშნოს, რომ “ქართული ოცნების” რიტორიკა ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპსა და მის ადმინისტრაციასთან მიმართებით ეტაპობრივად შეიცვალა - თავიდან თითქოს ტრამპი “დიფ სთეითს” ებრძოდა და ამხელდა, ხოლო “ქართული ოცნების” პროპაგანდისტების ბოლოდროინდელი განცხადებებით, ტრამპი და მისი ადმინისტრაცია “დიფ სთეითის” დავალებებს ასრულებენ.

„ქართული ოცნება” აგრძელებდა არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციას, რისთვისაც მანიპულაციურად იყენებდა მართლმადიდებელი ეკლესიის სახელს. ასევე, განაგრძობდა სამოქალაქო საზოგადოების რეპრესიული და შემზღუდველი კანონების აღსრულებას ანტიკორუფციული ბიუროს, პროკურატურისა და სასამართლო სისტემის საშუალებით.

გაგრძელდა პროპაგანდისტული კამპანია მართლმადიდებელი სასულიერო პირის, არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილის წინააღმდეგ. ამასთან, საპატრიარქომ კიდევ ორი მართლმადიდებელი სასულიერო პირი დასაჯა რელიგიური ინსტიტუტის კრიტიკისა და პროევროპული მოძრაობის მხარდაჭერის გამო.

დადებითი ტენდენცია შენარჩუნდა, და სასულიერო პირების ნაწილი ქადაგებებში, საჯარო გამოსვლებსა და აქციებზე აგრძელებდა პროევროპული მოძრაობის მხარდაჭერას.

1. ევროკავშირის წინააღმდეგ პროპაგანდა და ფსევდორელიგიური ნარატივებით მანიპულაცია

საანგარიშო პერიოდში, „ქართული ოცნება“ და მასთან აფილირებული სუბიექტები კვლავ აგრესიულ ანტიდასავლურ კამპანიას აწარმოებდნენ, სადაც ევროკავშირი და დასავლეთი წარმოჩნდება, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის, რელიგიური იდენტობის, ტრადიციებისა და ეროვნული ღირებულებებისთვის მტრული ძალა, ხოლო „ქართული ოცნება“ - ტრადიციებისა და სარწმუნოების დამცველი.

“ქართული ოცნებისა” და მისი სატელიტების თქმით, ბიუროკრატებისა და აგენტებისგან შემდგარი ევროკავშირი მოქმედებს არა საკუთარი ხალხების ინტერესებით, არამედ “დიფ სთეითის” კარნახით; ევროკავშირის ქვეყნები კარგავენ რელიგიურ და ეთნიკურ იდენტობას; საქართველოს მოქალაქეები კი დგანან ევროკავშირსა და ეროვნული სუვერენიტეტისა და ტრადიციების შენარჩუნებას შორის არჩევანის წინაშე; მათი შეფასებით, ევროპული ბიუროკრატია საქართველოსგან არა პარტნიორობას, არამედ მორჩილებას მოითხოვს.

„ქართული ოცნება“ ასევე ხშირად ადარებს ევროკავშირს საბჭოთა კავშირს. მაგალითად, პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ევროკავშირს “საკავშირო ხელისუფლებად” მოიხსენიებენ. ამავდროულად, მათ ნარატივში ევროკავშირი იგივდება “ექსტრემიზმთან”, “ლგბტ პროპაგანდასა” და “გაუმჭვირვალე დაფინანსებასთან”. “ქართული ოცნება” ბრიუსელს მოუწოდებს, “დაუბრუნდეს ევროპულ ღირებულებებს”.

“ევროკავშირი რელიგიური და ეროვნული იდენტობის წინააღმდეგ”

“ქართული ოცნება” კვლავინდებურად რელიგიითა და იდენტობის საკითხებით მანიპულირებს. “ქართული ოცნება” საჯარო გამოსვლებში ევროკავშირს წარმოაჩენს ძალად, რომელიც მტრობს მართლმადიდებელ ეკლესიას და ზოგადად, რელიგიურ იდენტობებს, ტრადიციებს და “ეროვნულ ფასეულობებს.”

მაგალითად:

> შალვა პაპუაშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის თავმჯდომარე, 28 ნოემბერი: “...ჩვენ, რა თქმა უნდა, ევროკავშირთან ურთიერთობას, ღირებულებით თანხვედრას ვხედავთ მაშინ, როდესაც იქნება **ეროვნული ინტერესები, პატრიოტიზმი, ქრისტიანული, არა მაინცდამაინც ეკლესიური გაგებით ვამბობ, არამედ ღირებულებითი გაგებით,** მათ შორის, ამ ფასეულობებს დაუბრუნდება ბრიუსელი და დაუბრუნდება, ზოგადად, ევროკავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა..”
>
> ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 21 ნოემბერი: “ნებისმიერ რადიკალურ მანკიერ იდეოლოგიას ახასიათებს ასეთი რამ, რომ უპირისპირდება ძირეულ ფასეულობებს, ამ შემთხვევაშიც იგივე ხდება. რეალურად, ძირითადი ხაზები არაფრით არ განსხვავდება ბოლშევიკური

იდეოლოგიისგან. აქაც იგივე ხდება, შენ არ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, **პატივს არ უნდა სცემდე შენს ეკლესიას** და სიძულვილი უნდა თესო".

დავით ქართველიშვილი, „ქართული ოცნების" სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის" წევრი, 10 ნოემბერი: "არარეალური შიშების გაჩენას მოსახლეობაში სპეცსამსახურების ენაზე ჰქვია "შიშებით გამყიდველები" - ეს არის დასავლეთში და დიდ ბრიტანეთში აპრობირებული მეთოდი… **წარმოიდგინე, გლობალურად რა ხდება - ღმერთის მიმართ უნდობლობის გაღვივება მიმდინარეობს ადამიანებში…**მიდის ღმერთმოძულეობის გაღვივება, ღმერთთან ბრძოლა - ადამიანის სულიდან უნდათ უკანასკნელი იმედის განდევნა.."

გურამ მაჭარაშვილი, 11 დეკემბერი: "…რეზოლუციებში რომ წერდნენ, საქართველომ რა კანონი მიიღოს, რა გააუქმოს, საგარეო საქმეთა მინისტრებს აგზავნიან ანტისამთავრობო მიტინგებზე, ახალგაზრდებს მოუწოდებდნენ, **ეკლესია დაივიწყონ და ლგბტ პროპაგანდას „მიაწვნენ"**, უკანონოდ შეცვალონ ხელისუფლება და ევროკავშირის ელჩი „ნაცმოძრაობის" პროპაგანდას რომ ეწეოდა, ეს ჩარევა არ იყო?..."

ევროკომისიის გაფართოების ანგარიშის შესახებ

4 ნოემბერს, ევროკომისიამ ევროკავშირის გაფართოების შესახებ ყოველწლიური ანგარიში გამოქვეყნა. ანგარიშში, ევროკომისია აცხადებს, რომ საქართველოს "კანდიდატი ქვეყნის მხოლოდ სახელი აქვს" და რომ ქვეყანამ "სერიოზული დემოკრატიული უკუსვლა" განიცადა, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის, სასამართლოს დამოუკიდებლობის "შერყევის", ინსტიტუტების პარტიული ინტერესებისადმი დაქვემდებარებისა და საგარეო პოლიტიკის შეცვლილი პრიორიტეტების გამო. "ქართული ოცნების" საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ანგარიში საქართველოსთან მიმართებით *"უსაფუძვლო ნეგატიური შეფასებების გასაჟღერებლად და მორიგი პოლიტიკური სპეკულაციებისთვის არის გამოყენებული."* "ქართული ოცნების" პარლამენტის თავჯდომარის, შალვა პაპუაშვილის თქმით კი, ანგარიში "თეთრი ძაფითაა ნაკერი," სადაც *"ორგანულად ერწყმის ერთმანეთს გაცვეთილი პოლიტიკური ბრალდებები, სიცრუე, მტრული რიტორიკა და გამიზნული მავნებლობა."*

ილია ინჯია, „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 11 ნოემბერი: "...ევროპა დღეს: 5. ფსევდო-დემოკრატიის დროშის ქვეშ მიღებულია კანონები, რომელიც ეწინააღმდეგება დედამიწაზე არსებულ ყველა ტრადიციულ რელიგიას, განსაკუთრებით, კი, ქრისტიანობას; 6. ძირითადი ოჯახური ღირებულებების და ფასეულობების მიმართ საწინააღმდეგო ქმედებების წახალისება…"

ლევან მაჭავარიანი, „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 6 ნოემბერი: "ამ შემთხვევაში იდენტობის პრობლემაზე არის საუბარი. ეს უკონტროლო მიგრაცია რომ არის არალეგალური, ის ლგბტ თემები და ჩვენ გვსაყვედურობენ, რატომ მიიღეს ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონი, როდესაც ეს გამოგონილი თემა არისო".

დავით ქართველიშვილი, ქართული ოცნების" სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის" წევრი, 4 ნოემბერი: "დარწმუნებული ვარ, ამ უახლოესი თვეების განმავლობაში საქართველოს რომ გაეუქმებინა არასრულწლოვანთა დაცვის კანონები, გამჭვირვალობის შესახებ კანონი, დაენიშნა უზენაესი საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ ჯო უილსონი ან გადაედგა სხვა მსგავსი ნაბიჯები, რომელსაც აკვიატებულად ითხოვდნენ ევროპელები, ქვეყანა დღეს მოწინავე პოზიციებზე იქნებოდა".

ნანა კაკაბაძე, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის, „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ დამფუძნებელი, 6 ნოემბერი: “...ეს არის ჩვენი მოწოდება ხელისუფლებისადმი. ჩვენ ვეუბნებით, რომ გვინდა დემოკრატიული ევროპა, მაგრამ უარს ვამბობთ ფაშისტურ ევროპაზე, ბოლშევიკურ ევროპაზე…”

ჰომოფობიის ინსტრუმენტალიზება

„ქართული ოცნება“ და მისი სატელიტები კვლავ მიმართავენ პროპაგანდისტულ რედუციონიზმს და ცდილობენ ევროკავშირში ინტეგრაციისთვის საჭირო მოთხოვნების შესრულება ძირითადად ლგბტ უფლებების მხარდაჭერის საკითხამდე დაიყვანონ. საანგარიშო პერიოდში, მათ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 25 ნოემბრის გადაწყვეტილება მანიპულაციურად, შეცდომაში შემყვანად განმარტეს, ისე რომ თითქოს ევროკავშირის სასამართლო “ყველა წევრ ქვეყანას ერთსქესიანთა ქორწინების კანონიერად აღიარებას ავალდებულებს,” მაშინ როდესაც აღნიშნული გადაწყვეტილება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, პატივი სცენ და აღიარონ სხვა წევრ ქვეყანაში დაქორწინებული წყვილების კავშირი, რაც წევრ სახელმწიფოებს არ ავალდებულებს ერთნაირი სქესის მქონე წყვილების ქორწინების კანონიერ აღიარებას.

> გიორგი კახიანი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის დეპუტატი, 25 ნოემბერი: "ევროკავშირის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. მე არ გამოვრიცხავ, რომ ნელ-ნელა, ძალიან მალე დადგეს დღის წესრიგში საკითხი იმდაგვარად, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ვალდებულებაც ჰქონდეთ ერთგვარი, რომ ერთსქესიანთა ქორწინება აღიარონ, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა”.

> გურამ მაჭავარიანი, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ წევრი, 26 ნოემბერი: “...გვეუბნებოდნენ, ვინ გაძალებთ, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება დაკანონდესო. ახლა რაღას იტყვიან, როცა ევრობიურორკატიამ, მართლმსაჯულებამ პირდაპირ დაავალა წევრ სახელმწიფოებს, რომ ოჯახად მიიღონ ერთნაირსქესიანი ადამიანების დაქორწინება? ეს არის ზუსტად ის რეალობა, რასაც საქართველოში არასდროს მივიღებთ…”

> დიმიტრი ხუნდაძე, „ქართული ოცნების“ პარლამენტის დეპუტატი, 25 ნოემბერი: “...მოსახლეობა დაცლილი იყოს მორალისგან, ზნეობისგან, ოჯახური ფასეულობებისაგან, ტრადიციებისაგან. სწორედ ეს არის ბრძოლის მეთოდი, რაც დღეს, სამწუხაროდ, დასავლეთისგანაა შემოთავაზებული…”

თავდასხმა გერმანიის ელჩ პეტერ ფიშერზე

„ქართული ოცნება” გამუდმებით თავს ესხმის ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს საქართველოში. ამ კუთხით, “ქართული ოცნების” თავდასხმის სამიზნე გერმანიის ელჩი საქართველოში პეტერ ფიშერი არაერთხელ გახდა. საანგარიშო პერიოდში, მის წინააღმდეგ კამპანია მოქალაქე მამუკა ცუცქირიძის მიერ ელჩ პეტერ ფიშერთან ერთად გამოქვეყნებულ ფოტოს მოჰყვა. ცუცქირიძე წერდა, რომ ელჩი რუსთაველის გამზირზე, საპროტესტო აქციაზე მოულოდნელად მივიდა და სოლიდარობა გამოუცხადა დემონსტრანტებს. სამთავრობო, პროპაგანდისტულმა მედიებმა მამუკა ცუცქერიძის საჯარო ფეისბუქ პოსტები გაავრცელეს, სადაც ის პატრიარქის მოსაყდრეს, შიო მუჯირს

ეგზარქოსად მოიხსენიებს, პროევროპულ აქციებში აქტიურად მონაწილეობისა და სამღვდელობის კრიტიკისთვის, არქიმანდრიტების, დოროთე ყურაშვილისა და ილია თოლორაიასთვის მღვდელმოქმედების აკრძალვის გამო. "ქართული ოცნების" ლიდერებმა აღნიშნული ფაქტი პირადად ელჩის და ევროკავშირის დისკრედიტაციისთვის გამოიყენეს. "ქართული ოცნების" პარლამენტის თავჯდომარე, შალვა პაპუაშვილი გერმანიის საგარეო უწყებას მოუწოდებდა, "ჩამოყალიბდეს", რა სურს მას, "*ქართველ ხალხთან ხიდების გადება, თუ ამ ხიდების დაწვა*".

> დავით მათიკაშვილი, ქართული ოცნების" სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის" წევრი, 14 ნოემბერი: "ეს იყო სამარცხვინო დამოკიდებულება ქართული ეკლესიის, ქართველი ხალხისა და საქართველოს მიმართ… მნიშვნელოვანია, გავიგოთ, გერმანიის საგარეო უწყება რას ფიქრობს, როცა ფიშერი ვენის კონვენციის დარღვევით რუსთაველის გამზირზე მიდის, ფოტოებს იღებს შიდა ტერორიზმში შემჩნეულ ადამიანებთან და იმათთან, ვინც **ეკლესიას შეურაცხყოფას აყენებენ და პატრიარქს ეგზარქოსს უძახიან?** საინტერესოა, მათი პასუხები, რაზე ესაუბრნენ ელჩს, როცა საქართველოდან გაიწვიეს?"

> ლევან მაჭავარიანი, „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 27 ნოემბერი: "...დაბრუნდა, ორი დღეც ვერ მოითმინა, გავარდა აქციაზე, ფოტო გადაიღო ისევ ისეთ რადიკალ პიროვნებასთან, რომელიც ჩვენი **ეკლესიის ლანძღვით არის დაკავებული**. ასეთი ფოტოები მას სჩვევია…"

2. „დიფ სთეითი" და გლობალური შეთქმულების ნარატივი

საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც წინა თვეებში, „ქართული ოცნება" და მასთან დაკავშირებული პროპაგანდისტები სისტემატურად ავითარებდნენ „დიფ სთეითის" და „გლობალური ომის პარტიის" კონსპირაციულ ნარატივს. იგი ეფუძნება ანტილიბერალურ და ანტიდემოკრატიულ პარადიგმას, რომელიც რუსულ პროპაგანდაში ფართოდაა დამკვიდრებული.

ამ ნარატივის მიხედვით, დასავლეთი ერთიან „ოლიგარქიულ ოჯახებად" ან „გლობალურ იდეოლოგიად" სახელდება, რომლის მიზანია, საქართველოს ომში ჩართვა, საქართველოში ხელისუფლების ცვლილება, ქართული იდენტობის წართმევა, "ავტორიტეტების" ნგრევა, "ქრისტიანული ღირებულებების" წინააღმდეგ ბრძოლა და "ეკლესიის წინააღმდეგ სიძულვილის თესვა". ამ ფონზე, „ქართული ოცნება" პოზიციონირებს, როგორც სარწმუნოების, ტრადიციებისა და ეროვნულობის ერთადერთი დამცველი ძალა. ნარატივის მიზანია, დასავლური ინსტიტუტებისადმი უნდობლობის გაღვივება და ხელისუფლების შიდა ოპონენტების, როგორც „უცხო ძალების მსახურების" დისკრედიტაცია.

> ზაზა შათირიშვილი, "ქართული ოცნების" პროპაგანდისტი, 17 ნოემბერი: "...ოლიგარქიულმა ოჯახებმა როგორც ევროკავშირის მმართველობაში, ასევე წამყვანი ქვეყნების მთავრობებში დანიშნული საკუთარი აგენტურის ხელით ევროპა გაკოტრების პირას მიიყვანეს… ხელოვნური სტიგმების გამოყენებით, როგორიცაა **ყალბი რელიგიური ტოლერანტობა**, ასევე, სექტასთან გათანაბრებული ასობით ახალი რელიგიური მიმდინარეობის შემოგდებით, **მინიმუმამდე დავიდა ქრისტიანული ღირებულებების პატივისცემა და შესაბამისად** - მნიშვნელობა.

> დიმიტრი სამხარაძე, „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 22 ნოემბერი: „ის ხალხი სად ხართ, Слава Украине (დიდება უკრაინას) რომ გაიძახოდით ? ტერმინის, **რომელიც ეკლესიის მტრების,**

გლობალური ომის პარტიის მიერაა შექმნილი. "დიდება უფალს", უფლის სახელი რომ ამოიღეს და უკრაინით ჩაანაცვლეს…"

ერთიანი ნეიტრალური საქართველო, „ქართული ოცნების" სატელიტი პოლიტიკური გაერთიანება, 5 ნოემბერი: "…**ევრო ბიუროკრატიას, ოლიგარქიული ოჯახების, იგივე „დიფ სთეითისგან" მიღებული აქვს დავალება** - ყველაფრის ფასად მოახერხონ საქართველოში ხელისუფლების ცვლილება და მმართველობაში აგენტების დაბრუნება…"

"ქართული ოცნების" ლიდერები, სატელიტი პარტიის წევრები, პროპაგანდისტები და თავად "ქართული ოცნების" დამფუძნებელი და საპატიო თავმჯდომარე, ბიძინა ივანიშვილი "არაფორმალურ მმართველობას" და "დიფ-სთეითს" უკავშირებენ ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის დავას კერძო შვეიცარიულ ბანკ Credit Suisse-თან.[1] მათი თეორიით, "დიფ სთეითი" ამ თანხას ბიძინა ივანიშვილის "შანტაჟისთვის", "საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების" მისაღებად იყენებს.

აღსანიშნავია, რომ "ქართული ოცნების" რიტორიკა პრეზიდენტ ტრამპსა და მის ადმინისტრაციასთან მიმართებით ეტაპობრივად შეიცვალა - თავიდან "ქართული ოცნების" თქმით, ტრამპი "დიფ სთეითს" ებრძოდა და ამხელდა. 15 დეკემბერს გამოქვეყნებულ წერილში, კი "ქართული ოცნების" პროპაგანდისტი ზაზა შათირიშვილი აღნიშნავდა, რომ **აშშ-ს მოქმედი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და მისი ადმინისტრაცია "დიფ სთეითის" დავალებებს ასრულებს.**

"ხოლო აშშ-ის მოქმედ პრეზიდენტზე, დონალდ ტრამპსა და მის ადმინისტრაციაზე ასევე მტკიცებულებების დონეზე დავადასტურე, რომ ისინი არათუ ებრძვიან ოლიგარქიულ ძალებს, არამედ პირდაპირ მათ დავალებას ასრულებენ და ეგრეთ წოდებული რებრენდინგის პროცესში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებენ."

ასევე, "ქართული ოცნების" დეპუტატის მარიამ ლაშხის თქმით, *"მთავარია, რომ რებრენდინგი არ მოხდეს დიფ სთეითის,"* დეპუტატ ირაკლი ზარქუას თქმით კი *"ტრამპს უჭირს [„დიფ სთეითთან" ბრძოლა].*

ამავე კონტექსტში წინა პლანზე წამოწეულია ბრალდებები, რომ აღნიშნული ძალები საქართველოში "აგენტურისა" და სხვა "ტექნოლოგიების" მეშვეობით ებრძვიან მართლმადიდებელ ეკლესიას, ხოლო „ქართული ოცნება" ამ ძალებთან დაპირისპირებაში, სარწმუნოებისა და ეროვნულობის მცველია.

ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების" პრემიერ-მინისტრი, 22 დეკემბერი: "ჩვენ გარდა იმისა, რომ უცხოურ აგენტურას უნდა ვებრძოლოთ ამ ქვეყანაში, იმ მეთოდებსაც უნდა ვებრძოლოთ, რომლის გამოყენებითაც უცხოური აგენტურის მეშვეობით საქართველოში ხდება სიძულვილის დათესვა ყველაფრის მიმართ, მათ შორის სოციალური ინსტიტუტების მიმართ, **იგივე ეკლესიის მიმართ**. ჩვენ მთელი კამპანია დაგვჭირდა იმისათვის, რომ **შეგვეჩერებინა შტურმი მართლმადიდებლურ ეკლესიაზე, რომელსაც ახორციელებდნენ ენჯეოების და ოპოზიციური პარტიების მეშვეობით."**

---

[1] 24 ნოემბერს, გაერთიანებული სამეფოს საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტმა, რომელიც გაერთიანებული სამეფოს უზენაეს სააპელაციო სასამართლოს წარმოადგენს, ბიძინა ივანიშვილისა და შვეიცარიული ბანკის, „კრედიტ სუისის" საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვეყნა. სასამართლომ ძალაში დატოვა წინა ინსტანციების გადაწყვეტილებები, რომლებიც შვეიცარიულ ბანკს ბიძინა ივანიშვილისთვის ზარალის ანაზღაურებას ავალდებულებდა.

> მიხეილ ყაველაშვილი, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტი, 25 დეკემბერი: “…ეს არის მიზანმიმართული, დაგეგმილი პროცესი, ეს არის ერთ-ერთი ტექნოლოგია - უნდა შეაზიზღო ხელისუფალი. საზოგადოების უმრავლესობა რომ მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლებას, ამიტომაც არის მშვიდობა და სტაბილურობა. აუცილებლად სათქმელია [მართლმადიდებელი] **ეკლესიის როლიც**, რომლისთვისაც ცალკე ტექნოლოგია აქვთ შემუშავებული, როგორ დააკნინონ…”

3. ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დევნა

საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნება” განაგრძობდა სამოქალაქო საზოგადოების რეპრესიული და შემზღუდველი კანონების აღსრულებას ანტიკორუფციული ბიუროს, პროკურატურისა და სასამართლო სისტემის ხელით.

„ქართული ოცნება” ასევე აგრძელებდა არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციას, რისთვისაც კვლავ მანიპულაციურად იყენებდა მართლმადიდებელი ეკლესიის სახელს.

"ქართული ოცნებისა" და პროპაგანდისტული მედიის სამიზნე ონლაინ მედიაგამოცემებიც გახდნენ. მაგალითად, ტვ „იმედმა“ ვრცელი სიუჟეტი მოამზადა თავისუფალი ონლაინმედიის წინააღმდეგ და ისინი „აგენტებად“ და „ანტიქართულ“ გამოცემებად გამოაცხადა.

“ქართული ოცნების” სატელიტების თქმით, ე.წ. “გამჭვირვალობის კანონი” სწორედ იმიტომ მიიღეს, რომ საზოგადოებაში მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლები გამოეშკარავებინათ.

> ირაკლი კობახიძე, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, 17 დეკემბერი: “... არ არსებობს არავითარი არასამთავრობო ორგანიზაციები, არსებობს მხოლოდ უცხოური **მთავრობების მიერ საქართველოში ინტერვენციისთვის დაფინანსებული კონკრეტული ორგანიზაციები**. არ არსებობს არავითარი სამოქალაქო საზოგადოება”.
>
> ირაკლი ზარქუა, „ქართული ოცნების“ პარლამენტის დეპუტატი, 12 ნოემბერი: “... იმიტომ, რომ მერე ქართველი ხალხი კიდევ უფრო მეტად გაიგებდა, ვინ **ებრძვის ეკლესიას, მართლმადიდებლობას, ქართულ სახელმწიფოს, ვინ ითხოვს ლგბტ პროპაგანდას და ეს არ უნდოდათ**. ამიტომ იყო მიჩქმალული და ამას მოჰყვა მთელი იწილობიწილო ევრობიუროკრატებთან.”
>
> ლევან მახაშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის დეპუტატი, 25 დეკემბერი: “...ეს თანხა ხმარდებოდა იმ პროცესების წახალისებას, რასაც უკვე 1,5 წელია ეს ქვეყანა აქტიურად ებრძვის - ვგულისხმობ სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის, ეკლესიისთვის ძირის გამოთხრას და ა.შ.”
>
> ზურაბ ქადაგიძე, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის „ხალხის ძალის“ წევრი, 25 ნოემბერი: “...ჩვენ არ ვზღუდავთ მედიას - დიახ, თავისუფალი მედია არის დემოკრატიის საფუძველი, მაგრამ, ჩრდილოვანი მმართველობა, ფსევდო ღირებულებები, თავისუფალ მედიას ამოფარებული საინფორმაციო ტერორიზმი - დიახ, საინფორმაციო ტერორიზმი, ლიბერალური ფაშიზმის კლასიკური გამოვლინებაა…”

4. მართლმადიდებელი სასულიერო პირის წინააღმდეგ პროპაგანდისტული კამპანია

არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილის წინააღმდეგ, „ქართული ოცნებისა“ და მისი პროპაგანდისტების დისკრედიტაციული, ცილისმწამებლური კამპანია გაგრძელდა საანგარიშო პერიოდშიც. ამასთან, საპატრიარქომ კიდევ ორი მართლმადიდებელი სასულიერო პირი დასაჯა ინსტიტუციური კრიტიკისა და პროევროპული მოძრაობის მხარდაჭერის გამო.

15 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქომ გამოაქვეყნა ბრძანება, სადაც პატრიარქის სახელით გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილს საპატრიარქომ მღვდელმოქმედების უფლება შეუჩერა. საპატრიარქო მიზეზად გაფრთხილებების მიუხედავად, საეკლესიო კანონიკური ეთიკის არაერთგზის დარღვევის უთითებდა. აღსანიშნავია, რომ არქიმანდრიტი დოროთე საპატრიარქოს კომისიაზე მესამედ დაიბარეს.

მცხეთა-თბილისის ეპარქიული კომისიის 12 ნოემბრის დასკვნის საფუძველზე, კომისიამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს არქიმანდრიტ დოროთეს თანამოაზრის, არქიმანდრიტ ილიასთვის (თოლორაია) მღვდელმოქმედების შეჩერების შუამდგომლობით მიმართა[2]. არქიმანდრიტ ილია თოლორაიას განმარტებით, ის კომისიაზე საერთოდ არ ყოფილა დაბარებული და ისე დაისაჯა. ამასთან, დასჯის მიზეზი იყო არა “ცილისმწამებლური და სასულიერო პირთა შეურაცხმყოფელი გამონათქვამები”, არამედ ის, რომ იგი ხელისუფლების რუსულ პოლიტიკას ამხელდა - *“ვამხელდი ამ ხელისუფლებას, რომელიც რუსული ხელისუფლებაა და ვთქვი მეუფე შიოზე, რომ ის არის ეგზარქოსი, რაც ნიშნავს ეპისკოპოსს, მაგრამ რუსეთის მხარეს მდგომს.”*

29 დეკემბერს, არქიმანდრიტმა შიო კვარცხელიამ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მიიღო საეპარქიო კომისიის ერთ-ერთი წევრის, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის “გამაფრთხილებელი” წერილი, სადაც ბოტკოველი შიოს განცხადებებს ცილისმწამებლურს და შეურაცხმყოფელს უწოდებს, საეპარქიო კომისია კი მას დაფიქრებისა და მსგავსი განცხადებების შეწყვეტისა და სინანულისკენ მოუწოდებს.

8 ნოემბერს, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ აღნიშნა, რომ სასულიერო პირების კომენტარები არ განხილულა პოლიტიკური განცხადებების ჭრილში, არამედ *“ის, თუ რატომ აკეთებს შეურაცხმყოფელ შეფასებებს და რატომ აყენებს შეურაცხყოფას ეკლესიას, პატრიარქს, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრეს, პატრიარქის ადმინისტრაციას და დანარჩენ სასულიერო პირებს.”*

კომისიის სხდომებისა და საპატრიარქოს დასკვნის გამოქვეყნების პარალელურად, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტიის წევრები და პროპაგანდისტები არქიმანდრიტ დოროთეს წინააღმდეგ სხვადასხვა შეცდომაში შემყვან, მადისკრედიტირებელ და ცილისმწამებლურ განცხადებას ავრცელებდნენ. 9

---

[2]აღსანიშნავია, რომ 29 ოქტომბერს, იმავე კომისიის დასკვნის საფუძველზე, საპატრიარქომ არქიმანდრიტ დოროთეს სასჯელის სახით, ქვემო ბეთლემის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვრის მოვალეობიდან გათავისუფლება და ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ლავრაში მღვდელმსახურად გამწესება დაადგინა. ორივე სასულიერო პირი გამოირჩევა პროევროპული მოძრაობისა და პოლიტპატიმრების მხარდამჭერი განცხადებებით. ამავდროულად, ქრისტიანული პერსპექტივიდან, ხშირად აკრიტიკებენ „ქართული ოცნების“ ანტიკონსტიტუციურ და ანტიდასვლურ დისკურსსა და პოლიტიკას.

ნოემბერს, სამთავრობო, პროპაგანდისტულმა მედია "იმედმა" არქიმანდრიტ დოროთეს სპეციალური სიუჟეტიც მიუძღვნა, სახელწოდებით "დოროთეს ანტიეკლესიური ამბოხი", სადაც ის ეკლესიის შიდა მტრადაა მოხსენიებული. 21 დეკემბრის სიუჟეტით კი სამთავრობო პროპაგანდამ ის ერეტიკოსად გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საპატრიარქოს არქიმანდრიტისთვის ამგვარი [ერეტიკოსი] ბრალდებაც კი არ წაუყენებია.

> ირაკლი ჩიხლაძე, სამთავრობო პროპაგანდისტული ტელეკომპანია „იმედის" გენერალური დირექტორის მოადგილე, 9 ნოემბერი: "...ჩვენ ვართ თვითმხილველი, ეკლესიაზე მორიგი შეტევის, რომლის სათავეშიც, სამწუხაროდ, არქიმანდრიტია. აწ უკვე ყოფილი...არადა, ერთადერთი კითხვა დამრჩა, რომელსაც ყოველგვარი მოკრძალების გარეშე პირდაპირ დავუსვამდი - რატომ იქცა ბერი, რწმენის და ეკლესიის სახელით, რადიკალების ხელში იარაღად მშვიდობის წინააღმდეგ?!.."
>
> დავით მათიკაშვილი, „ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 21 დეკემბერი: "ვხედავთ, რომ სასულიერო პირი, რომელსაც პრაქტიკულად დღეს უკვე აყრილი აქვს ყველა ის უფლება, რაც მას ამ სტატუსს აძლევდა, იქცეოდა ჩვეულებრივად ნაციონალური მოძრაობის რიგით, რადიკალ, უცხოეთიდან დაფინანსებულ წევრის მსგავსი საქციელით."
>
> ირაკლი ქადაგიშვილი, "ქართული ოცნების" პარლამენტის დეპუტატი, 21 დეკემბერი: "როგორც კი გამოჩნდება ეკლესიაში ისეთი პიროვნება, რომელიც თავისი პიროვნული შეუთავსებლობის გამო ან თავისი სუბიექტური მიზეზებით უპირისპირდება ეკლესიას მაშინვე ხდება ხოლმე მისი ავანსცენაზე გამოყვანა, ერთგვარად მისი ბოლომდე გამოყენება იმისთვის, რომ მაქსიმალური ზიანი მიაყენონ საზოგადოებას იმ კუთხით, რომ ეკლესიის დისკრედიტაცია მოახდინონ."

5. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ანტიდასავლური პროპაგანდა

საანგარიშო პერიოდში, მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილი ქადაგებებსა და საჯარო გამოსვლებში აგრძელებდა როგორც „ქართული ოცნების" ხელისუფლების მხარდამჭერ, ისე სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და ევროკავშირის საწინააღმდეგო რიტორიკას.

ბოდბის მთავარეპისკოპოსის, იაკობ იაკობაშვილის 23 და 30 ნოემბრის ქადაგებები ტრადიციულად, ანტიდასავლურ რიტორიკას ეფუძნებოდა. ერთ-ერთი მთავარი გზავნილი იყო, რომ **"უცხოეთი" საქართველოს საქმიანობაში ერევა და საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი (ნატოსა და ევროკავშირისკენ სწრაფვა) "უცხოეთმა ძალით" ჩაგვაწერინა.**

> „რა გვინდა და რისთვის ვიღწვით. ცოტა ხნის წინ იყო, 2020 წლის არჩევნებიდან. მე მაშინაც ვამბობდი და დღესაც ვამბობ - არასწორი იყო, რომ კონსტიტუციაში ძალით, ჩაგაწერინებენ რაღაცას, უნდა ფიქრობდე, რომ წინ რაღაც აქვთ. ნატო და ევროკავშირი ჩავწერეთ და ჩვენი ქვეყანა მართლაც მისდევდა - ჩვენ ხომ გვახასიათებს სიტყვა - უცხო..."

ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტი სტეფანე კალაიჯიშვილი წინა ქადაგებების მსგავსად, 1, 2, 23, 29, 30 ნოემბრის და 20, 21 დეკემბრის ქადაგებისას, აგრძელებდა ანტიდასავლურ პროპაგანდას და დეზინფორმაციას.

გზავნილი: ევროკავშირი საქართველოზე ახდენს ზეწოლას, რომ ბავშვებს მიეცეთ "სქესის შეცვლის" უფლება.

> "[ევროკავშირი] გეუბნება რომ ჩვენ 21 წლიდან სავალდებულოდ ვთვლით, რომ ესე იგი ისეთი კანონები უნდა მივიღოთ, რომელი კანონებითაც ჩვენი ბავშვები თავისი ნებით შეიცვლიან სქესს. [...] გვეუბნებიან რომ ეს კანონები გააუქმეთ რომლითაც ჩვენ ამ ბავშვებს ვიცავთ და ჩვენ ოჯახებს ვიცავთ და ჩვენ კაცი კაცზე რომ არ გათხოვდეს და ქალი ქალზე ამასთან დაკავშირებით პოზიცია გვიკავია ამისთვის გვსჯიან".

გზავნილი: წინააღმდეგობის მოძრაობა ანტიქრისტიანულია და ებრძვის ეკლესიას

> "...მთელი ეს ანტიქრისტიანული,, ეშმაკების მორჩილი მასა, რომელიც შეპყრობილია ამ რაღაცა ანტიქრისტიანული ლოზუნგებით და რევოლუციური განწყობებით და ცდილობენ რომ დაანგრიონ ეკლესიის ძალა და ამითი დაანგრიონ სახელმწიფო…"

არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილზე თავდასხმა

სტეფანე კალაიჯიშვილი განაგრძობდა არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილის წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიის მხარდაჭერას და მის „მწვალებლად" მოხსენიებას; ბრალს სდებდა "სახარების დამახინჯებით" გავრცელებაში და უწუნებდა უწყვეტ საპროტესტო აქციებში მონაწილეობასა და პროტესტის მხარდაჭერას; ამავდროულად, აგრძელებდა საპროტესტო მონაწილეების წინააღმდეგ დეზინფორმაციულ პროპაგანდას, მათი "ანტიქრისტიანებად და სატანისტური რიტუალების შემსრულებლად" მოხსენიებით.

> "...დღევანდელი ჩვენი მთავრობა ღვთის ნებას არ ეწინააღმდეგება, რა გაშფოთებს და რა გაყვირებს მღვდელს… იქ რაღაცა, რაღაცა უაზრო მოქმედებები, სატანისტური რიტუალები იქ რაც ხდება ხოლმე ის არი, რო ის ადამიანის კუბო რო გამოასვენეს და შიგნით ცოცხალი ადამიანის მაგიური, ფაქტიურად ესეთი რამე იმათ აქვთ მჩხიბავებს... ხო ჯადო. ის ახალგაზრდები წააქეზე მშობლების წინააღმდეგ უფლის სახელით... ღვთის ნება არის ეს რო არეულობა მოაწყო და ბავშვები აცდუნო…"

ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტის, სტეფანე კალაიჯიშვილის განგრძობად ცილისწამებას არქიმანდრიტმა დოროთე ყურაშვილმა ფეისბუქ პოსტით უპასუხა. ასევე მწვალებლობის ქადაგებისა და მისი ნათქვამების ცილისმწამებლურად დამახინჯებისთვის მოითხოვა, ამ საკითხის სინოდის კომისიაზე განხილვა.

არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილის საწინაღმდეგო რიტორიკას აგრძელებდა **დეკანოზი ალექსანდრე გალდავაც,** რომელიც სამთავრობო პროპაგანდისტული მედიების და საინფორმაციო სააგენტოების ხშირი მოსაუბრეა ამ თემაზე.

> "სრულიად გაუგონარია, როდესაც ადამიანი, ბერი ლაპარაკობს იმაზე, რომ რასაც მე ვლაპარაკობ ეს არის ჭეშმარიტება. ვინც ამას ტაშს უკრავს, ვხვდებით ვინ არის ამის დიდი ნაწილი. ზოგი მჩხიბავია, ზოგი ღვთის მგმობელი, ზოგი ლგბტ დროშის მტვირთველია. ეს ადამიანები მათ წაახალისებენ და უფრო უკიდურეს მდგომარეობას უქმნის ამ პიროვნების მომავლის."

ანტიდასავლურ და „ქართული ოცნების" მხარდამჭერ განცხადებებს ავრცელებდა **სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი სპირიდონ აბულაძე** 2, 16, 21, 23, 30 ნოემბრის და 7, 13, 19 დეკემბრის ქადაგებისას. ეპისკოპოსმა სპირიდონმა გაიმეორა „ქართული ოცნების" პროპაგანდა და მადლობა გადაუხადა „ქართულ ოცნების" მთავრობას იმისთვის, რომ "ლგბტ" ზეწოლასა და "ომში ჩათრევას" გაუწია წინააღმდეგობა და "საქართველო გადაარჩინა." ასევე იგი ავრცელებდა დეზინფორმაციას "ბავშვებისთვის სქესის გადაკეთების" შესახებ, და აცხადებდა, რომ "ევროპასა და ამერიკაში მშობლებს ციხეში უშვებენ, თუკი ბავშვებს უარს ეტყვიან სქესის გადაკეთებაზე".

რელიგიური რასიზმი და ქსენოფობია

სპირიდონ აბულაძე აქტიურად უპირისპირდებოდა "ქართული ოცნების" მიერ დაანონსებულ არაბულ ინვესტიციას საქართველოში, რომლის მიხედვითაც თბილისის მიმდებარედ და შავიზღვისპირა გონიოს ტერიტორიაზე გაერთიანებული საამიროების დეველოპერული კომპანია Eagle Hills-ი მრავალფუნქციურ კომპლექსებს აშენებს. აღნიშნული პროექტის გამჭვირვალობასა და საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, უამრავი კითხვა არსებობს, თუმცა ეპისკოპოსი პროექტს არა ამ პრობლემური საკითხების, არამედ "მიგრანტების მიერ გახსნილი მეორე ფრონტისა" და "არამართლმადიდებელი სარწმუნოების მქონე", "მტრების" გამო აკრიტიკებდა.

> "...ანტიქრისტემ შემოგვისია. მიზანი რა არის, რომ განაქარვონ ეროვნულობა გრძნობა და აღირიონ საქართველოში ყველაფერი და მერე საქართველოში გააბატონონ ანტიქრისტე..."

აღსანიშნავია, რომ სპირიდონ აბულაძე აღნიშნულ პროექტსაც დასავლეთის მიერ "დაფინანსებულს" და "წაქეზებულს" უწოდებდა. პროექტის განხორციელებას ძირითადად, ქსენოფობიური არგუმენტებით, სხვა სასულიერო პირებიც ეწინააღმდეგებიან.

6. სასულიერო პირების განცხადებები პოლიტიკურ რეპრესიებსა და შეუწყნარებლობაზე

დადებითი ტენდენცია საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნდა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების მცირე ნაწილი კვლავინდებურად კრიტიკულად ეხმაურებოდა „ქართული ოცნების" ანტიდემოკრატიულ, ანტიევროპულ კურსსა და პროპაგანდისტულ განცხადებებს.

2024 წლის 28 ნოემბრის შემდეგ, თბილისსა და სხვა ქალაქებში გრძელდება პროევროპული აქციები ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისა და პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით. ამ პერიოდიდან, „ქართული ოცნების" პარლამენტმა არაერთი რეპრესიული, ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციური კანონმდებლობა მიიღო, სამართალადამცავმა უწყებებმა და სასამართლომ კი ამ კანონების აღსრულება დაიწყეს. შედეგად, ასობით პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრეს სხვადასხვა „სამართალდარღვევაზე", ხოლო ასზე მეტი პირი კი სისხლის სამართლის წესით

დააპატიმრეს. ამ კონტექსტში, სასულიერო პირების მცირე ნაწილი საჯაროდ უპირისპირდება „ქართული ოცნების“ პროპაგანდას.

საანგარიშო პერიოდში, მათი ძირითადი გზავნილები იყო:

ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე, სამართლიანობისა და აქტიური მოქალაქეობისკენ მოწოდება

სასულიერო პირების ნაწილი ეწინააღმდეგება სასულიერო პირების პასიურობასა და უსამართლობაზე დუმილს. ისინი მიიჩნევენ, რომ დუმილი ნიშნავს ბოროტების თანამზრახველობას. რწმენა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა განუყოფელია.

> შიო კვარაცხელია, არქიმანდრიტი, 23 ნოემბერი: "...მაგალითად, მეუფე შიომ. ნახა ეს ნაცემი ხალხი, გაძარცულიყო ხალხი და დადუმდა, ანუ გვერდი აუარა. მისმა დეკანოზებმა ნახეს ეს ნაცემი ხალხი, გაძარცული ხალხი, გაჭირვების გამო ემიგრაციაში წასული ხალხი, საპატრიარქოდან გადმოხედეს და გვერდი აუარეს. ეს დუმილი არის სწორედ გვერდის ავლა".
>
> დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 20 ნოემბერი: "...თქვენ,დეკანოზებს რამე კარგად რომ გაგეკეთებინათ ნამდვილად ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ დაღუპეთ ეკლესია, ეკლესია ოცნების დანამატი გახადეთ, ხალხი მიატოვეთ, ვინც კი მთავრობის უსამართლობაზე ხმა ამოიღო სატანისტებად შერაცხეთ, დასისხლიანებული და უსამართლოდ ციხეში ჩაყრილი გოგო ბიჭები არ დაიცავით და მოძალადეები ეძახეთ, ქართული მიწაწყლის გაყიდვაზე დუმხართ, ქვეყანამ კურსი შეცვალა და მოსკოვისკენ მიემართება და გიხარიათ".
>
> ილია ჯინჯოლავა, არქიმანდრიტი, 6 ნოემბერი: "შემირცხვენია განსწავლულობა და თეოლოგობა, მით უფრო მღვდლობა თუ მოძღვართ მოძღვრობა, თუ სიტყვად დარჩა და საქმედ არ იქცა, თუკი იგი არ განხორციელდება ცხოვრებაში, და ქრისტიანობითა და ადამიანობით ნაკარნახევი სიმამაცის ნაცვლად მხდალი და ბეჩავი ხარ"…
>
> ზენონ იარაჯული, დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი, 6 დეკემბერი: "დიდად ამაზრზენია იმ სამღვდელოების ქცევა რომლებიც ყურში გიჩურჩულებენ და ხმის ამოღებას ვერ ბედავენ ვერანაირი უსამართლობის მიმართ. თითქოს სხვას საკუთარი თავი არ უყვარდეს და თავის მოფრთხილების სურვილი არ ჰქონდეს."
>
> ილია თოლორაია, არქიმანდრიტი, 18 დეკემბერი: "თუ მღვდელი ნაცემ და ნაწამებ ადამიანს მიატოვებს, ის მწყემსი აღარ არის — დაქირავებულია."
>
> ლეონ გელოვანი, მღვდელი, 15 დეკემბერი: "...ათეული წლებია ეს საპატრიარქო და მისი მესვეურნი დგანან სხვადასხვა რეჟიმის მხარეს, თითქმის ყოველთვის იმ ბოროტი რეჟიმის მხარეს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქრისტეს ჭეშმარიტ რწმენასთან - თავისუფლებასთან, სიყვარულთან და სამართლიანობასთან…"

ანტიევროპული კურსის მხილება და კრიტიკა

სასულიერო პირების ნაწილი მიიჩნევს, რომ ქრისტიანული ფასეულობები თავსებადია ევროპულ კულტურასა და პოლიტიკურ ტრადიციასთან. ამავდროულად, ისინი მიჯნავენ "ქართული ოცნების" ქმედებებს, მსგავსად რუსეთისა, ჭეშმარიტი მართლმადიდებლობისგან.

> შიო კვარაცხელია, არქიმანდრიტი, 9 ნოემბერი: „რუსეთის ეკლესიას ვერ ვუწოდებ ერთმორწმუნეს - **რასაც რუსეთი ჩადის, ეს არ არის მართლმადიდებლობა. რასაც ჩვენი ხელისუფლება ჩადის, არც ეგ".**
>
> ზაზა თევზაძე, დეკანოზი, 28 ნოემბერი: **საქართველო ევროპული და დემოკრატიული ცივილიზაციის ნაწილია!**
>
> დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 27 დეკემბერი: "მოქმედმა მთავრობამ შეცვალა ქვეყნის საგარეო კურსი და ევროპის ნაცვლად ქვეყანა რუსეთისკენ მიჰყავს მაშინ, როცა ეს არჩევანი -- ჩვენი ქვეყნის ევროპული კურსი -- არ ეკუთვნის არც ამ მთავრობას, არც წინა მთავრობებს, არც ზვიად გამსახურდიას. **საქართველოს ევროპული გზა ჩვენი წინაპრების მიერ არჩეული ისტორიული გზაა..."**
>
> ილია თოლორაია, არქიმანდრიტი, 12 დეკემბერი: "რუსთაველზე ვიქნები დღეს — რუსეთის მონობას, ერის ღალატს, ციხეც სჯობს და სიკვდილიც. დღეს ტროტუარზე დგომას გვიკრძალავენ, ხვალ — ფეისბუკზე ხელისუფლების კრიტიკას აგვიკრძალავენ, ზეგ გვაიძულებენ, რუსეთიც და რუსეთს დამონებული ხელისუფლებაც ვაქოთ..."
>
> თამაზ ლომიძე, დეკანოზი, 10 დეკემბერი: "წარმოიდგინეთ მსხვერპლის სიბრიყვე და რუსების პროპაგანდის და საინფორმაციო შხამის დონე ამ დაუცველ საქართველოში, რომ იმ ხალხის ნაწილს, რომელსაც რუსებმა წაართვეს დამოუკიდებლობა და რომელიც რუსებმა გამოყარეს საკუთარი სახლებიდან აფხაზეთში და სამაჩაბლოში, ისევ რუსებმა დააჯერეს, რომ ევროპა და დასავლეთია მათი მტერი და ყველა მათი უბედურება დასავლეთის მოწყობილია."

განცხადებები სასამართლო სისტემაზე და აღმსრულებელ მოსამართლეებსა და სამართალდამცავ უწყებებზე

სასულიერო პირების ნაწილი კვლავ მხარდაჭერას უცხადებს სინდისის პატიმრებს, ამავდროულად, გმობს „ქართული ოცნების" რეპრესიებსა და შერჩევით სამართალს. ისინი ეხმაურებიან „ქართული ოცნების" 2025 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში მიღებული და ამოქმედებული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, პოლიციის მიერ საპროტესტო აქციების მონაწილეების დაკავებებს.

> ალექსი ქშუტაშვილი, დეკანოზი, 1 ნოემბერი: "აქ ხალხს იჭერენ... ვალდებულად ვთვლი თავს, რომ ვიყო აქ, ამ ხალხის გვერდით..."
>
> გიორგი წეროძე, დეკანოზი, 23 ნოემბერი: "დღეს ისევ ხმამაღლა დასამოწმებელია, რომ არ შეიძლება «ლეკიანობა» პოლიციის სახელით, უფრო კი წმ. გიორგის გერბით სამკლაურზე...სახელმწიფოები სამართლიანობისთვისაა და არა დამონებისთვის."

ზენონ იარაჯული, დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი, 3 ნოემბერი: "ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ, მთელი სამყაროც რომ იყოს თქვენი ხელისუფლების წინაშე დამნაშავე, აფხაზეთიდან დევნილი, ამ უსახსრო და უსახლკარო ხანდაზმული ქალბატონის[3] წინაშე იქნება დამნაშავე თქვენი ხელისუფლება."

ილია თოლორაია, არქიმანდრიტი, 2 ნოემბერი: "თავისუფლება სინდისის პატიმრებს! ციხიდან ლომების ხმა ისმის, რომლებიც ვერ გატეხა სისტემა. ამ ბიჭების დასაცავად სიტყვა, რომ არ მეთქვა, სირცხვილი მომკლავდა და სიცოცხლესაც რა ფასი ექნებოდა? არც არაფერი.

დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 21 ნოემბერი: "სანამ სახელმწიფოში სხვა სამართალი იქნება ჩინოვნიკების და სხვა ხალხისთვის არაფერი გვეშველება."

იაკობ აქიაშვილი, რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტი, 9 ნოემბერი: "ერთი წმინდანი ბრძანებს, ნეტარი ავგუსტინე, რომ თუ ხელისუფლება სამართალს და სიმართლეს არ ემსახურებაო ავაზაკთა ჯგუფი არისო. აქედან გამომდინარე, მე უკვე ზოგადად ვთქვი, თუ სამართალს და სიმართლეს არ ემსახურება ეს ხელისუფლება, არის ავაზაკთა ჯგუფი."

განცხადებები საქართველოს მოქალაქეებისთვის საზღვარგარეთ ხმის მიცემის აკრძალვაზე

სასულიერო პირების ნაწილი გამოეხმაურა "ქართული ოცნების" ინიციატივას, რომლის მიხედვითაც, უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეები არჩევნებზე ხმას საზღვარგარეთ ვეღარ მისცემენ. 17 დეკემბერს, ქართული ოცნების პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა საარჩევნო კოდექსში აღნიშნულ ცვლილებებს. აკრძალვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად "ქართული ოცნება" ამომრჩეველზე უცხოეთიდან "საინფორმაციო და პოლიტიკურ" ზეწოლას ასახელებს. სასულიერო პირების ნაწილის თქმით, ეს მოქალაქეებისთვის მათი კონსტიტუციური უფლების უკიდურესი შეზღუდვაა.

საბა ინწკირველი, ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი, 18 ნოემბერი: "... მქონდა მოლოდინი და იმედი, რომ შეიქმნებოდა მეტი შესაძლებლობა, გაიხსნებოდა დამატებითი უბნები და გამარტივდებოდა პროცედურები, რათა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს რეალურად მიცემოდათ ხმის უფლება. ამის ნაცვლად, ჩვენ მივიღეთ ვითარება, რომელმაც ემიგრანტებისთვის არჩევნებში მონაწილეობა თითქმის შეუძლებელი გახდა.

შიო კვარაცხელია, არქიმანდრიტი, 23 ნოემბერი: "ავაზაკმა ქართულმა ოცნებამ გაძარცვა ქართველი ხალხი, ჩვენი ქვეყანა, სცემა მოსახლეობას, მათი მოღვაწეობიდან გამომდინარე, უამრავი ქართველი წასულია ემიგრაციაში ევროპაში და მათაც სამოქალაქო უფლებებს უზღუდავენ და არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ართმევენ.

კონსტანტინე პაიჭაძე, დეკანოზი, 19 ნოემბერი: "თავდაპირველად არ შეიქმნა საარჩევნო უბნები იმ შტატებში სადაც ამის საჭიროება იყო... და დამარცხდნენ... შემდეგ ოთხშაბათს ჩაატარეს არჩევნები, სამუშაოს გამო ვერ მოვა ხალხიო.... და მაინც დამარცხდნენ.... ახლა საერთოდ გააუქმეს.."

---

[3] აზა ჩილაჩავა აფხაზეთიდან დევნილი 71 წლის ქალი პოლიციის ადმინსტრაციული სამართალდრღვევის ოქმის საფუძველზე 22 ოქტომბერს სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო აქციაზე პირბადით ყოფნის გამო და სიტყვიერი გაფრთხილება გამოუცხადა. 2 ნოემბერს კი პოლიციამ დაკაავა, 3 ნოემბერს მოსამართლემ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო პირბადის გაკეთებისა და გზის სავალ ნაწილზე დგომისთვის და ერთდღიანი პატიმრობა შეუფარდა.

ირინეოს შენგელია, მღვდელმონაზონი, 18 ნოემბერი: "ეს არის დაუშვებელი და შეურაცხყოფელი თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის, რომელთა სისხლით, ოფლით და ჯაფით დღემდე მოვიდა ეს ქვეყანა!.."

იერონიმე ქათამაძე, მღვდელმონაზონი, 18 ნოემბერი: "...ჩვენ ვართ საქართველოს ნაწილი და არ აქვს მნიშვნელობა, სად ვცხოვრობთ. ჩვენი პასპორტი არ არის უბრალოდ დოკუმენტი, ეს არის იდენტობა, რომელიც სამშობლოსთან გვაკავშირებს. ჩვენი ხმა არ არის საფრთხე! ჩვენი ხმა არ არის „გარე ზეწოლა"! ჩვენი ხმა ქართული ხმაა, უბრალოდ სხვა ქუჩიდან, სხვა ქალაქიდან, სხვა ქვეყნიდან!"

განცხადებები BBC-ის ჟურნალისტურ გამოძიებაზე

1 დეკემბერს, BBC-მ გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოძიება, რომლის თანახმადაც, საქართველოს ხელისუფლებამ 2024 წლის 28 ნოემბერს დაწყებული საპროტესტო აქციების პირველ კვირაში, მომიტინგეების წინააღმდეგ, სავარაუდოდ, ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საზიანო, ტოქსიკური ნივთიერება გამოიყენა. გამოძიების გამოქვეყნებიდან მალევე, „ქართულმა ოცნებამ" გამოძიების დასკვნებს "აბსურდული" უწოდა და განაცხადა, რომ BBC-ს საერთაშორისო სასამართლოში უჩივლებდა.

1 დეკემბერს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაიწყო ე.წ. გამოძიება BBC-ის მიერ საჯარო სივრცეში დანაშაულის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 319-ე (უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარება) მუხლებით. შედეგად, სუს-ში ის პირებიც დაიბარეს, რომლებიც BBC-ს საგამოძიებო დოკუმენტურ ფილმში ინტერვიუს აძლევდნენ ან რომელთა ნაშრომებიც იყო გამოყენებული წყაროებად. 6 დეკემბერს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება შეწყვიტა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ნაწილში, რადგანაც მათივე "გამოძიებით", აქციებზე არ გამოყენებულა არც "კამიტი" და არც რაიმე სხვა აკრძალული ქიმიური ნივთიერება. ამავე დროს, გამოძიება გრძელდება „უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარების" მუხლით.

სასულიერო პირების ნაწილმა დაგმო სავარაუდო აკრძალული ნივთიერებით მოქალაქეების მოწამვლა და ობიექტური ინფორმაციის გასაჯაროება მოითხოვა.

კონსტანტინე პაიჭაძე, დეკანოზი, 5 დეკემბერი: "100 სხვადასხვა ჟანრის ფაზლი, რომ აურიო ერთმანეთში უფრო ადვილად დაალაგებ და დაამთხვევ ფიგურებს, ვიდრე ის გამონათქვამები ემთხვევა რაც ისმის სამთავრობო სექტორიდან BBC ის ფილმზე."

თამაზ ლომიძე, დეკანოზი, 5 დეკემბერი: "საბჭოთა რუსებმაც კი, 9 აპრილის შემდეგ, ვერ შეძლეს დაემალათ რა ქიმიური საშუალება იყო გამოყენებული დემონსტრაციის წინააღმდეგ და აღიარეს, რომ ეს იყო CS-ი. ესენი კი მოწამლულ და ჯანმრთელობაშერყეულ ხალხს ეუბნებიან ნუ გეშინიათ, წყალიც ქიმიაა, თქვით, რა ნივთიერება იყო წყალში გარეული, რომ ხალხმა მინიმუმ შესაბამისად იმკურნალოს. მიბაძეთ საბჭოთა რუსულ მთავრობას მაინც!"

ილია ჯინჯოლავა, არქიმანდრიტი, 3 დეკემბერი: "ზამთარში, სიცივეში, ხალხის ცემა რომ არ იკმარეს, წყლის ჭავლი რომ მიუშვირეს, შიგ ქიმიური ნივთიერება გაურიეს და ერთი წლის მერე, BBC-მ რომ ამხილა, ახლა იძახიან, გავარკვევთ რა ნივთიერება იყოო… ამ ბოროტების სისტემას რომ ენდობი და მხარს უჭერ, თავად რა ხარ?! ლეგიონია თქვენი სახელი!"

შიო კვარაცხელია, არქიმანდრიტი, 2 დეკემბერი: "საქართველოს დღეს ყავს ფაშისტური მთავრობა, რომელიც წამლავს ხალხს. „ქართული ოცნება" კი არ უნდა გადაგეს — უნდა გასამართლდეს ქართველი ხალხის გენოციდისთვის. მთავრობა, რომელიც ქიმიური იარაღით წამლავს საკუთარ ახალგაზრდობას, დაწყევლილი და მიტოვებულია ღვთისგან."

ილია თოლორაია, არქიმანდრიტი, 3 დეკემბერი: "კობახიძე ამბობს, აკრძალული ქიმიური ნივთიერება ნაციონალების დროს იყო შეძენილიო. თუ ასე იყო — თქვენ რას ინახავდით ამ საწამლავს? სახლში, ვინმეს შემოგდებული საწამლავი რომ აღმოაჩინო, რატომ უნდა შეინახო? ოჯახის მოწამვლას აპირებ და მაგიტომ."

დოროთე ყურაშვილი, არქიმანდრიტი, 6 დეკემბერი: "მთავრობა რომელიც საკუთარ ხალხს წამლავს არა აქვს უფლება დარჩეს მთავრობად. ხალხს, რომლებსაც ასე წამლავენ და უწამლავენ შვილებს არა აქვს დუმილის და სახლში ჯდომის უფლება. ორივე დანაშაულია. მღვდელმსახური რომელიც დუმს ასეთ ბოროტებაზე, ბოროტების თანამონაწილეა."

სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირების განცხადებები

საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი, რუსუდან გოცირიძე სოციალურ ქსელში და მედიასთან აქტიურად საუბრობდა და აზიარებდა პოლიტიკური პატიმრების მხარდაჭერ განცხადებებს. ასევე კრიტიკულად აფასებდა „ქართული ოცნების" საკანონმდებლო რეფორმებს განათლებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ.

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მიტროპოლიტმა, მალხაზ სონღულაშვილმა, საშობაო მილოცვისას ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე მშვიდობიან პროტესტზე.

"საქართველოში, სადაც ადამიანები ყოველ ღამით დგანან სამართლიანობის და სიმართლის სადარაჯოზე, შობის დადგომა ჩუმ, მაგრამ გაუტეხელ პირობას ჰგავს. გვახსენებს, რომ სინათლეს სიკაშკაშისთვის ნებართვა არ სჭირდება; სიმართლეს კი, გამოწვევები ვერ გააქრობს."